ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4465622

ნომერი: AR1674445

თარიღი : 11.04.2019

გაცემის თარიღი : 18.04.2019

გაცნობის თარიღი : 19.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N213;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ნაცვლიშვილი პ/ნ 01008016686
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 9 ბ. 28

ორგანიზაცია:
- ვინ ბეთ კოდი: 404908276

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
თქვენს მიერ განაცხადის დარეგისტრირებისას შერჩეული ნომენკლატურის თანახმად საკითხი დაყენებული გაქვთ სარეკლამო აბრების კორექტირების კუთხით, ხოლო შესაბამისი რეკვიზიტების ველებში დაფიქსირებული გაქვთ 11.07.2013წ. №759532 ბრძანება, რომელიც წარმოადგენს IV კლასის ობიექტის - მრავალფუნქციური სავაჭრო გასართობი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ბრძანების რეკვიზიტებს. ასევე, გაუგებარია წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ფოტოსურათები), თუ რა სახის კორექტირებას ითხოვთ. შესაბამისად იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-დააზუსტეთ მოთხოვნა და განმარტეთ რა სახის სამუშაოებზე ითხოვთ ნებართვას.
-შესაბამის ველებში სწორად მიუთითეთ შეთანხმებული განაცხადის/გადაწყვეტილების რეკვიზიტები.
-წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული სხვადასხვა მასთ შორის ახლო ხედებით, თარიღის მითითებით.
-წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული შესაბამისი ფოტომონტაჟი (კორექტირებული ვერსია), ასევე შესაბამის ველში ატვირთეთ შეთანხმებული ფოტომონტაჟიც.
- წარმოდგენილ მინდობილობას ვადა აქვს 2019 წლის 30 აპრილამდე და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს.
ასევე, მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ფართები წილობრივი კოდებით, საჭიროა განიმარტოს აბრა ეწყობა საერთო საკუთრებაში არსებულ ნაწილზე თუ წილობრივი კოდით არსებულ ნაწილზე. იმ შემთხვევაში თუ აბრა ეწყობა კონკრეტულ წილობრივ ფართზე, საჭიროა რუკაზე მონიშნოთ ან წარმოადგინოთ აღნიშნული ფართ(ებ)ის ამონაწერები საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოები დაგეგმილია საერთო საკუთრებაში არსებულ ნაწილზე წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.